სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ - პროფესორების („ა" კატეგორია-2 საშტატო ერთეული, „ბ" კატეგორია-2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 27 მაისის N 128/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის N 67/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

**№4 ოქმი (შემაჯამებელი)**

**ქ. თბილისი** **"11" ივლისი 2024 წ.**

**17:00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია № 022**

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ოთხი წევრი:

1. მიხეილ ბახტაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე);
2. ბონდო კუპატაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
3. ქეთევან ნადირაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. ბექან ხორავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ - პროფესორების („ა" კატეგორია-2 საშტატო ერთეული, „ბ" კატეგორია-2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ბახტაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ - პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა") 2 საშტატო ერთეულზე შემოვიდა 3 განცხადება (ალექსანდრე ბოშიშვილი, ლერი თავაძე, სოფიო ქადაგიშვილი), ხოლო ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ბ") 2 საშტატო ერთეულზე შემოვიდა 6 განცხადება (შოთა

მათითაშვილი, დავით მერკვილაძე, ლოლა სარალიძე, ნათია ფიფია, სოფიო ქადაგიშვილი, ქეთევან ქუთათელაძე, ლევან ჯიქია).

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, 9 კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

„ა“ კატეგორიის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე კონკურსანტთა შეფასება: დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ალექსანდრე ბოშიშვილის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ალექსანდრე ბოშიშვილის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ალექსანდრე ბოშიშვილის კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ლერი თავაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ლერი თავაძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (იხ. დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ლერი თავაძის კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **სოფიო ქადაგიშვილის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ სოფიო ქადაგიშვილის

შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების შემდგომ საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მას აქვს თსუ-ში სასემინარო მუშაობის გარკვეული გამოცდილება. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება. (იხ. დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა"). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის სტილი. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს დანარჩენ ორ პრეტენდენტთან შედარებით ნაკლები პედაგოგიური გამოცდილება აქვს. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა არ მისცეს დასტური (0 მომხრე, 4 მოწინააღმდეგე) სოფიო ქადაგიშვილის კანდიდატურას.

- კომისიამ იმსჯელა სამივე კანდიდატურის შესახებ. პრეტენდენტების საკონკურსო მონაცემები ორი ვაკანსიის ფარგლებში შეადარა ერთმანეთს და გააკეთა შემაჯამებელი დასკვნა. ლერი თავაძის და ალექსანდრე ბოშიშვილის ხანგრძლივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა, ზრდის და განვითარების ყოველწლიური პროცესი, აგრეთვე ფაქტობრივი მაჩვენებლები ბევრად აღემატება სოფიო ქადაგიშვილის მონაცემებს. ალექსანდრე ბოშიშვილი და ლერი თავაძე თორმეტი წელია იკავებენ აღნიშნულ ვაკანსიას. მათი საქმიანობა საუნივერსიტეტო წრეებში ფასდება დადებითად, სახეზეა ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური წინსვლა. ამდენად არ არსებობს არგუმენტი ცვლილებისათვის ამ ვაკანსიებთან დაკავშირებით.

„გ" კატეგორიის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე კონკურსანტთა შეფასება:

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **შოთა მათითაშვილის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ შოთა მათითაშვილის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების შემდგომ საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მას ჰქონდა თსუ-ში კონკრეტული სასემინარო მუშაობის გამოცდილება. აქვს უცხოელ მკვლევარებთან სამეცნიერო კონტაქტები, ჰქონდა სამეცნიერო მივლინება ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ და აქვს სტატია გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემაში. აღინიშნა, რომ კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესის სფერო ძირითადად ეკლესიის ისტორიაა. ანკეტის თანახმად, კონკურსანტი მზადყოფნას გამოთქვამდა თსუ-ს კურიკულუმის შესაბამის ათობით სასწავლო კურსის გაძღოლაზე, გასაუბრებისას კომისიის წევრებმა კითხვები დასვეს კონკურსანტის მზაობასთან დაკავშირებით ამ თვალსაზრისით და დაასკვნეს, რომ მას არ აქვს მის მიერვე შემოთავაზებული სასწავლო კურსების ერთი ნაწილის წაკითხვის გამოცდილება და აღნიშნეს, რომ თსუ-ს ასისტენტ-პროფესორის კვალიფიკაცია მეტ მზაობას საჭიროებს. გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და

მსჯელობის სტილი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა არ მისცეს დასტური (0 მომხრე, 4 მოწინააღმდეგე) შოთა მათითაშვილის კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **დავით მერკვილაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების შემდგომ საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ 16 წლის წინ ის იკავებდა ასისტენტ პროფესორის თანამდებობას, თუმცა უკანასკნელ წლებში ფაქტობრივად არ იყო დაკავებული პედაგოგიური საქმიანობით. სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისას აღინიშნა, რომ მას აქვს მწირი კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან და ვერ მიიღეს განმარტება თუ რატომ არ აქვს კონკურსანტს ციტირების ინდექსი (ციტირების ინდექსი არის ნული). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის სტილი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა არ მისცეს დასტური (1 მომხრე, 3 მოწინააღმდეგე) დავით მერკვილაძის კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ლოლა სარალიძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ ლოლა სარალიძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების შემდგომ საკონკურსო კომისიამ აღინიშნა, რომ კონკურსანტს აქვს მწირი პედაგოგიური გამოცდილება, არ იცნობს თსუ სასწავლო კურიკულუმს და საგანმანათლებლო სისტემას (გვთავაზობს კურსებს თსუ-ში არ არსებული საბაკალავრო პროგრამისთვის), არ მიჯნავს ერთმანეთისგან საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს და ტრენინგ-კურსებს, ცალკეულ ლექციას თუ ლექციათა ციკლს, რაც აისახა კონკურსანტის ანკეტაში და წარმოდგენილ სილაბუსებში. კონკურსანტის ანკეტაში არსებული მცდარი ინფორმაცია, რაც შესაძლოა გამხდარიყო პირველ ეტაპზევე მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველი, თავად კონკურსანტის განმარტებით, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციებთან და ციტირების ინდექსთან დაკავშირებით ინფორმაცია შესაძლოა არაზუსტი ყოფილიყო, ვინაიდან ის არ ეთანხმება ამგვარ დიფერენცირებას. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა არ მისცეს დასტური (1 მომხრე, 3 მოწინააღმდეგე) ლოლა სარალიძის კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ნათია ფიფიას** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ნათია ფიფიას შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (იხ. დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ნათია ფიფიას კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ქეთევან ქუთათელაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ ქეთევან ქუთათელაძის

შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების შემდგომ საკონკურსო კომისიამ აღნიშნა, რომ კონკურსანტს ამ თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივი (18-წლიანი) სტაჟი გააჩნია, თუმცა გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, ის თავს არიდებდა კითხვებზე პასუხს და საუბარი გადაჰქონდა სხვა საკითხზე. აღნიშნავდა, რომ სასწავლო-სამეცნიერო აქტივობას ვერ ახერხებს ობიექტური მიზეზების გამო, მაგრამ სამომავლოდ გააჩნია ფართო გეგმები. კომისიის წევრები დაინტერესდნენ თუ რატომ არ აქვს კონკურსანტს პუბლიკაციები საზღვარგარეთ (მოსკოვში გამოცემულ მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში 1 სტატიის გარდა), და არც საზღვარგარეთ გამართულ კონფერენციებში იღებდა მონაწილეობას. ფაქტობრივად არ აქვს კონტაქტები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თუ კოლეგებთან. საბოლოოდ, გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა არ მისცეს დასტური (1 მომხრე, 3 მოწინააღმდეგე) ქეთევან ქუთათელაძის კანდიდატურას.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ლევან ჯიქიას** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ ლევან ჯიქიას შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ოთხივე წევრმა. საკონკურსო შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების შემდგომ განხილვისას საკონკურსო კომისიამ აღნიშნა, რომ კონკურსანტს სხვა უნივერსიტეტებში სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია, კარგად ერკვევა თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემაში, არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემდგენელი და თანახელმძღვანელი. კონკურსანტი არის ეროვნული არქივის თანამშრომელი, რაც დადებითად აისახა უცნობი წყაროების მისეულ პუბლიკაციებზე. კითხვაზე თუ რატომ არ აქვს მითითებული ციტირების ინდექსი, უპასუხა რომ ეს ინფორმაცია არ მოუძიებია. კომისიაზე აღინიშნა საკონკურსო ანკეტის ნაკლულობა, სადაც არ ჩანს კონკურსანტის თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან (ანკეტაში არაა აღნიშნული არცერთი პუბლიკაცია საზღვარგარეთ და არც საზღვარგარეთ გამართულ კონფერენციებში მონაწილეობა ფიქსირდება). თუმცა კონკურსანტმა აღნიშნა რომ კონტაქტი აქვს საბერძნეთის სამეცნიერო წრეებთან სამომავლო სამეცნიერო გეგმებთან დაკავშირებით. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა არ მისცეს დასტური (1 მომხრე, 3 მოწინააღმდეგე) ლევან ჯიქიას კანდიდატურას.

- კომისიამ იმსჯელა ექვსივე პრეტენდენტის შესახებ. მათი საკონკურსო მონაცემები ორი ვაკანსიის ფარგლებში შეადარა ერთმანეთს და გააკეთა შემაჯამებელი დასკვნა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ კონკურსანტთა შორის გამოკვეთილი პოზიცია უკავია ნათია ფიფიას, ხანგრძლივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით. ნათია ფიფია რვა წელია იკავებს აღნიშნულ თანამდებობას. პრეტენდენტებს შორის მხოლოდ მას ყველა საკონკურსო კატეგორიის მიხედვით კომისიამ მაღალი შეფასება დაუწერა, გაითვალისწინა კონკურსანტის ზრდის და განვითარების ყოველწლიური პროცესი, აგრეთვე ფაქტობრივი მონაცემები, რითაც ის ბევრად აღემატება დანარჩენ

პრეტენდენტებს. ამდენად არ არსებობს არგუმენტი ცვლილებისათვის ამ ვაკანსიასთან დაკავშირებით. მეორე ვაკანტურ ადგილზე კომისიამ ვერ შეარჩია გამოკვეთილი კანდიდატი. კომისიის წევრთა ხმები გაიყო კენჭისყრის დროს (შოთა მათითაშვილი - 0 ხმა, დავით მერკვილაძე-1 ხმა, ლოლა სარალიძე-1 ხმა, ნათია ფიფია-4 ხმა, ქეთევან ქუთათელაძე-1 ხმა, ლევან ჯიქია-1 ხმა). ხუთივე პრეტენდენტს საკონკურსო კატეგორიებში კომისიამ დიდწილად თანაბარი, საშუალო შეფასება მიანიჭა. ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ ქეთევან ქუთათელაძემ, რომელიც აქამდე იკავებდა ამ თანამდებობას, საკონკურსო დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგების მიხედვით, ვერ აჩვენა სამეცნიერო-პედაგოგიური ზრდის და განვითარების პოტენციალი, რაც თსუ-ს საჭიროებებს პასუხობს, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ამდენად კომისიის წევრთა ერთხმივი გადაწყვეტილებით მეორე ვაკანსიაზე გამარჯვებული არ გამოვლინდა.

**დაადგინეს:**

**1.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ - პროფესორის („ა“ კატეგორია) 2 საკონკურსო თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ: **ალექსანდრე ბოშიშვილი** და **ლერი თავაძე.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ - პროფესორის („ა“ კატეგორია) 2 საკონკურსო თანამდებობაზე ერთ ვაკანსიაზე გამარჯვებულად გამოვლინდა **ნათია ფიფია.** მეორე ვაკანტური ადგილი დარჩა თავისუფალი, ვინაიდან ვერცერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა.

**2.** გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: /ასოც. პროფ. მ. ბახტაძე/

კომისიის მდივანი: /ასოც. პროფ. ზ. კუპატაძე/

კომისიის წევრები: /ასოც.პროფ. ქ. ნადირაძე/

/ასოც. პროფ. ბ. ხორავა/

თარიღი: 11. 07. 2024